

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

2018 წლის ანგარიში



საქმიანობის სფერო

მეზღვართა განათლება და სერტიფიცირება

საზღვაო უსაფრთხოება

ზღვაზე ძებნა-გადარჩენა და გემების მოძრაობის მონიტორინგი

გემების რეგისტრაცია და დროშის კონტროლი

საერთაშორისო და ადგილობრივ უწყებებთან თანამშრომლობა

საკანონმდებლო საქმიანობა

ადმინისტრაციული უზრუნველყოფა

ISO 9001:2015

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სააგენტოს მიზანია უზრუნველყოს საზღვაო უსაფრთხოება და საზღვაო ტრანსპორტის ფუნქციონირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწესრიგება, ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, საზღვაო ტრანსპორტის ტექნიკური რეგულირება და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა, საზღვაო გადაზიდვა-გადაყვანების შეუფერხებელი და უსაფრთხო განხორციელების მიზნით.

სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

- დროშის სახელმწიფო კონტროლი, მათ შორის საქართველოს დროშით მცურავი გემის ინსპექტირება;
- საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოება, გემის რეგისტრაციის პირობების, აგრეთვე გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დადგენა;
- ზღვაოსნობის უსაფრთხოების, გარემოს დაზინძურების თავიდან აცილებისა და შრომის დაცვის მიზნით ეკიპაჟის უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების განსაზღვრა;
- საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და/ან საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების გაცემა, მათში ცვლილებების შეტანა ან გაუქმება „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- საზღვაო სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელობა, ზღვაზე საძიებო-სამაშველო ოპერაციების განხორციელების, ავარიის შედეგად დაღვრილი ნავთობითა და მავნე ნივთიერებებით ზღვის დაზინძურების ლიკვიდაციის მიზნით.
- საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის უსაფრთხოების მიზნით მოძრაობის დაყოფის სისტემების, საზღვაო დერეფნების, ფარვატერებისა და რეკომენდირებული გზების, ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესების შემუშავება, კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად, უფლებამოსილების ფარგლებში;
- საქმიანობის მარეგულირებელი კანონშემოქმედითი საქმიანობის განხორციელება, რაც დაკავშირებულია კანონპროექტების მომზადებასთან, ნორმატიული აქტების მომზადებასთან, ასევე სხვა ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანასთან; კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში.


მეზღვაურთა განათლება და სერტიფიცირება

მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების ერთიანი სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტი, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს ორ სამმართველოს:


- მეზღვაურთა განათლების სისტემაზე ზედამხედველობის სამმართველო ახორციელებს საქართველოში არსებული საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელი ცენტრების აღიარებას, შეიმუშავებს ამ დაწესებულებების შემოწმების გეგმას, უწევს მონიტორინგს საზღვაო სასწავლებლებში მიმდინარე საკვალიფიკაციო გამოცდებს და უზრუნველყოფს მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საერთაშორისო მოთხოვნების შესრულების კონტროლს.
- მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველო უზრუნველყოფს მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სერტიფიკატების მომზადებას და გემზე პასუხისმგებლობის ყველა დონის მეზღვაურისთვის სერტიფიკატების გაცემას და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავებას, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის გემის სამეთაურო და რიგითი შემადგენლობის პირის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მომზადებას, კანდიდატის ცოდნის შემოწმების მიზნით საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება-ორგანიზებას და სხვა.

მეზღვაურთა სერტიფიცირება


დიაგრამა # 1-ზე წარმოდგენილია მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველოს მიერ 2018 წლის განმავლობაში გაცემული მოწმობების სტატისტიკა



დიაგრამა N2 - 2017-2018 წლებში გაცემული მეზღვაურთა მოწმობების სტატისტიკა



დიაგრამა N3 - ყალბი დოკუმენტების სტატისტიკა 2011-2018წწ.



აღმოჩენილი ყალბი დოკუმენტები მიემართება რეფორმამდელ პერიოდს და მათი იდენტიფიცირებისათვის სააგენტოში შექმნილია ეფექტური მექანიზმები (2013 წელს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს ურთიერთანამშრომლობის საფუძველზე შემუშავდა პროგრამა, რომლის საშუალებითაც მეზღვაურთა მოწმობები იბეჭდება დამცავი ნიშნებით).

2018 წელს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში კომპეტენციის სერტიფიკატის მისაღებად ტესტირებაზე დარეგისტრირდა 2420 მეზღვაური, აქედან ტესტირება წარმატებით გაიარა 1845 მეზღვაურმა, ხოლო ვერ ჩააბარა 575 -მა. რაც შეეხება გასაუბრებას, გამსვლელთა საერთო რაოდენობა იყო - 672, 525 მეზღვაურის შემთხვევაში შედეგი იყო დადებითი, ხოლო 149 - ის - უარყოფითი.

საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებულ საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებებზე გაიცა 59 კურსის აღიარება. 2018 წელს აღიარების სერტიფიკატი გაიცა 2 საზღვაო საწვრთნელ დაწესებულებაზე. 2018 წლის განმავლობაში ზემოთხსენებულ სასწავლებლებში შემოწმებულ იქნა 3503 საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი კურსი, მსმენელების საერთო რაოდენობა კი შეადგენდა 33931 (გარდა პერსონალის გადამზადებისა და მეთევზე-მეზღვაურის კურსებისა).

2018 წელს, განახლებული აღიარების სერტიფიკატი გაიცა 3 სამედიცინო დაწესებულებაზე და განახლებული აღიარების სერტიფიკატი გაიცა 4 უფლებამოსილ ექიმზე.

ყოველწლიური გეგმიური აუდიტი ჩატარდა შემდეგ დაწესებულებებში:

- შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
- სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის „მეზღვაურთა სასწავლო საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრი“;
- შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრი“;
- შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი „ეკვატორი“
- შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი“

საანგარიშო პერიოდში, მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი და მეზღვაურთა განათლების სისტემაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსები, როგორც ექსპერტები, ჩართული იყვნენ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის და ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესში.

გამარტივებული მეზღვაურთა სერტიფიცირების პროცესი

2018 წლიდან საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ გაატარა რიგი პროაქტიული ღონისძიებები მეზღვაურთა სერტიფიცირების პროცესის გასაუმჯობესებლად და გასამარტივებლად კერძოდ:

- STCW კონვენციისა და საქართველოს მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ კანონის თანახმად, კაპიტნებსა და ოფიცრებს, რომლებსაც გააჩნ იათ ნავთობში, ქიმში და აირში ტანკერების გაფართოებული კვალიფიკაციის სერტიფიკატები, სერტიფიკატების განახლება შეუძლიათ საწვრთელ ცენტრებში კურსის გავლის გარეშე, ბოლო 5 წლის განმავლობაში შესაბამის გემზე 3 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟის წარდგენის შემთხვევაში.
- ძალაში შევიდა და ამოქმედდა შემოკლებული სასწავლო კურსები, მეზღვაურებს მიეცათ შესაძლებლობა 25 დღის ნაცვლად, რიგი კურსები გაიარონ 11 დღეში.
- გამარტივდა რიგითი შემადგენლობის, კერძოდ, მატროსის და მოტორისტის სერტიფიკატის მიღება:
 - II/4-ის შესაბამის რიგითს, რომელსაც აქვს გემზე რიგითად მუშაობის 12 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი, შეუძლია აიღოს II/5 მატროსის სერტიფიკატი;
 - III/4-ის შესაბამის სამანქანე განყოფილების რიგითს, რომელსაც აქვს გემზე რიგითად 6 თვის დამტკიცებული ნაოსნობის სტაჟი, შეუძლია, აიღოს III/5 მოტორისტის სერტიფიკატი.

საზღვაო უსაფრთხოება


საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტი ახორციელებს საქართველოს ნავსადგურებში (ბათუმი, ფოთი, სუფსა, ყულევი) გემების შესვლა-გასვლაზე ზედამხედველობას, კონტროლს უწევს ნავსადგურების უშიშროებასთან დაკავშირებული საერთაშორისო მოთხოვნების შესრულებას და მონაწილეობს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესების შემუშავებაში. ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურები ფუნქციონირებს ბათუმის, ფოთისა და ყულევის ნავსადგურებში. ფოთის ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახური ასევე ფარავს სუფსის ნავთობტერმინალსაც.

გემების მოძრაობა საქართველოს ნავსადგურებში:


საქართველოს ნავსადგურებში 2018 წლის განმავლობაში შემოსული იყო 1629 გემი. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

გემის ტიპი	რაოდენობა
Container	336
Tanker	386
Gen.Cargo	473
Ro-Ro	225
Passanger	16
Bulk Carrier	42
Livestock	1
Tug Boat	22
Research	1
Yacht	1
High Speed Craft	2
LPG	4
Gas Carrier	1
Dredger	3
Trainee Vessel	1
Fish Carrier	93
Mot. Craft	1
Vehicle Carrier	21
	1629

დიაგრამა #4-ზე ნაჩვენებია საქართველოს ნავსადგურებში გემების მოძრაობა 2012-2018 წლებში




დიაგრამა # 5-ზე წარმოდგენილია საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების გროს ტონაჟი (2018წელი)



ნავსადგურების სახელმწიფო კონტროლი

2018 წლის განმავლობაში სააგენტოს საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტის ნავსადგურის ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურებმა შეამოწმეს საქართველოს ნავსადგურებში (ბათუმი, ფოთი, ყულევი) შემოსული 273 გემი, შენიშვნები აღმოაჩნდა 208 გემს. საანგარიშო პერიოდში მოხდა 24 გემის დაკავება, კერძოდ, ბათუმის ნავსადგურში 12 გემის, ფოთის ნავსადგურში - 12 გემის. აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ დიაგრამა №6.



ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტი

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტი ახორციელებს კონტროლს გემების ნაოსნობაზე საქართველოს პასუხისმგებლობის SAR (ძებნის და გადარჩენის) რაიონში, უწევს კოორდინაციას და ორგანიზებას ძებნა-გადარჩენის ოპერაციებს უბედურების შეტყობინების მიღების შემთხვევაში და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციას მის განკარგულებაში არსებული სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობით, საჭიროების შემთხვევაში კი გარეშე რესურსების მოზიდვით. ახორციელებს 24 საათიან მორიგეობას რადიო ეთერში GMDSS სისტემის A1 და A2 საზღვაო რაიონებში სპეციალური რადიოკავშირის საშუალებებით. ატარებს და მონაწილეობს ლეზულობს ადგილობრივ და საერთაშორისო ძებნა-გადარჩენის ოპერაციების და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციის წვრთნებში; უწევს გემებს 24 საათიან საინფორმაციო მომსახურებას - მნიშვნელოვანი სანავიგაციო ინფორმაციით გემების დროულ უზრუნველყოფას; სანავიგაციო დახმარებას - გემებზე გადაწყვეტილების მიღების დასახმარებლად და ეფექტური მონიტორინგისათვის, განსაკუთრებით რთულ სანავიგაციო და მეტეოროლოგიურ პირობებში ან სხვა საგანგებო შემთხვევებში; ასრულებს გემების მოძრაობის ორგანიზებას - საშიში სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით გემების შემდგომი გადაადგილების დაგეგმვას, რაც ითვალისწინებს გემების მოძრაობაზე დაკვირვებას. მეკავშირე ოფიცერი უზრუნველყოფს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წარმომადგენლობას ერთობლივი ოპერაციების მართვის ცენტრში (სუფსა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამუშაო დღის განმავლობაში.

2018 წელს დაფიქსირებული მონაცემები:

1. პასუხისმგებლობის SAR რაიონში კონტროლზე აყვანილი გემები (შემომსვლელი, გამსვლელი და ტრანზიტული) -----3058.
2. საზღვაო ინციდენტები პასუხისმგებლობის SAR რაიონში -----136.
3. საზღვაო ინციდენტები პასუხისმგებლობის SAR რაიონის გარეთ -----1 .

4. პასუხისმგებლობის SAR რაიონში და ნავსადგურებში DSC, INMARSAT და COSPAS-SARSAT სისტემებით მცდარი განგაშის სიგნალის აქტივაცია

სისტემა	საქართველოს დროშით მცურავი გემები	სხვა სახელმწიფოს დროშით მცურავი გემები
VHF	2 საზღვაო	2(საზღვაო)
MF		-
HF	-	-
INM C	-	-
INM B	-	-
INM E	-	-
121.5 MHz	-	-
243 MHz	-	-
406 MHz	3 (საავიაციო)	2 (საავიაციო)
სულ:	2 (საზღვაო) 3 (საავიაციო)	2 (საზღვაო) 2 (საავიაციო)

5. პასუხისმგებლობის SAR რაიონის გარეთ DSC, INMARSAT და COSPAS-SARSAT სისტემებით მცდარი განგაშის სიგნალის აქტივაცია ----- 0.

6. გემის უსაფრთხოების განგაშის სისტემის (SSAS) შეტყობინების აქტივაცია -- 0.

7. გემის უსაფრთხოების განგაშის სისტემის (SSAS) ტესტური შეტყობინება ----1.

8. აფხაზეთის დახურულ საზღვაო სივრცეში გემების არასანქცირებული ნაოსნობის სტატისტიკა - 13.

9. CleanSeaNet სისტემიდან მიღებული ნავთობის დაღვრის განგაშის შეტყობინებების სტატისტიკა --- 94

10. საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და ნავსადგურების აკვატორიებში გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ცენტრის მიერ ჩატრებული ოპერაციების რაოდენობა ----- 3771.

11. გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ქვეცენტრების მიერ ჩატარებული ოპერაციების სტატისტიკა

ქვეცენტრი	ზონაში შესვლა	ზონიდან გასვლა	რეიდიდან ნავმისადგომთან	ნავმისადგომიდან რეიდზე	სულ:
ბათუმი	576	567	215	49	1407
ფოთი	801	774	345	40	1960
ყულევი	142	135	116	11	404

12. საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრში ჩატარებული ოპერაციები 0.

13. მეკავშირე ოფიცრის მონაწილეობა ჩატარებულ ოპერაციებში ----- 0

საანგარიშო პერიოდში საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრის მიერ ჩატარებული აქტივობები:

- პერიოდულად ტარდებოდა ძებნა-გადარჩენის საკომუნიკაციო წვრთნები სამგზავრო გემებთან;
- ყოველკვარტალურად ტარდებოდა ნავთობის ავარიულ დაღვრაზე რეაგირებისთვის მზადყოფნის წვრთნები განგაშის გამოცხადებისას ბათუმის ნავსადგურში;
- 2017 წლის აპრილის თვეში, სსსც-მ მონაწილეობა მიიღო თურქეთში გამართულ შავი ზღვის მულტივიმოქმედი კომისიის გარემოს უსაფრთხოების ასპექტების მრჩეველთა ჯგუფის 26-ე შეხვედრაში - BLACK SEA ALFA;
- დეპარტამენტის წარმომადგენლები მულტივად მონაწილეობდნენ საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში;
- ყოველკვარტალურად მონაწილეობდა შავი ზღვის საერთაშორისო საკომუნიკაციო წვრთნებში - BLACK SEA BRAVO;
- 2018 წლის ივლისის თვეში, ზღვაზე ძებნა-გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტმა ჩაატარა სამაშველო ოპერაცია, კერძოდ, გადაარჩინა იახტა - CARPE DIEM (დროშა-ფინეთი, აგების წელი - 1990, სიგრძე - 15,64 მ, სიგანე - 5,33 მ, წყალშიგი - 1,6 მ) ეკიპაჟის 2 წევრი. თავად იახტას კი გაუჩნდა ხანძარი და ჩაიძირა;
- 2018 წლის სექტემბერში, დეპარტამენტმა ჩაატარა სამაშველო ოპერაცია ბათუმის ნავსადგურში, შტორმული ამინდის გამო გემს - ALICAN KARTAL (IMO

- 7702748, დროშა - საქართველო) ჩაეწყვიტა გემსაბმელი ბაგირები. დეპარტამენტმა კომპეტენტურ უწყებებთან ერთად მოახდინა მყისიერი რეაგირება და გადაარჩინა ეკიპაჟის 6 წევრი.

სანაპირო და საზღვაო უახლესი რადიო კომუნიკაციების სისტემა

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ძებნა-გადარჩენისა და ავარიულად დაღვრილი ნავთობ-პროდუქტებით გამოწვეული დაბინძურების ლიკვიდაციის ოპერაციების კოორდინაცია სახელმწიფო დონეზე, რომელსაც ასრულებს საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრის საშუალებით.

აღნიშნულ ცენტრში, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აღჭურვილობის შესაძენად გამოცხადებულ ტენდერში, გამარჯვებულად გამოვლინდა იტალიური კომპანია ELMAN S.R.L., რომელიც მოწინავეა საერთაშორისო ბაზარზე რადიო კომუნიკაციის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, თავდაცვის სისტემების დიზაინის განვითარების და რეალიზაციის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან, არ გააჩნდა სრულყოფილი საზღვაო-სამაშველო კომუნიკაციების საშუალებები საქართველოს საზღვაო ზონაში განსაცდელში აღმოჩენილი გემების და ადამიანების დასახმარებლად.

გემების რეგისტრაცია და დროშის კონტროლი

გემების რეგისტრაციასა და დროშის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ფუნქციებია:

- დროშის სახელმწიფო კონტროლი, მათ შორის საქართველოს დროშით მცურავი გემების ინსპექტირება;
- საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- გემის რეგისტრაციის პირობების, აგრეთვე გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დადგენა;
- გემის რეგისტრაციის მოწმობის, ეკიპაჟის უსაფრთხო დაკომპლექტების და რადიოსადგურის მოწმობის გაცემა;
- საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი გემებისათვის მინიჭებული სახმობი და ამოსაცნობი ნიშნის მონიტორინგი.

ქართული დროშის პოპულარიზაცია

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, ახალი გემების მოზიდვა და გემების საშუალო ასაკის შემცირება. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ გაატარა რიგი პროაქტიული ღონისძიებები. კერძოდ, გამკაცრდა სააგენტოს მიერ იმ ორგანიზაციების აღიარების მოთხოვნები, რომლებიც ახორციელებენ მცურავი საშუალების ტექნიკურ ზედამხედველობას. საქართველოს საზღვაო კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა ევროპულ სტანდარტებთან, გაუმჯობესდა საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის მომსახურების პირობები, შემცირდა ტარიფები.


სწორედ დროშის პოპულარიზაციის მიზნით, 2018 წლის 4-8 ივნისს, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ორგანიზებითა და ინიციატივით, საქართველოს საზღვაო ინდუსტრიის კერძო და საჯარო სექტორი, საბერძნეთში უმსხვილეს საზღვაო გამოფენა-კონფერენცია **POSIDONIA 2018**- ზე მასშტაბური ეროვნული პავილიონით წარსდა. ღონისძიების ფარგლებში საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორმა ხელი მოაწერა კომპანია GLOBAL MARITIME CONSULTANTS GROUP-თან

გენერალური აგენტების შესახებ ხელშეკრულებას. აღნიშნული ხელს შეუწყობს ქართული დროშის ქვეშ ხარისხიანი გემების მოზიდვას.


მცურავი საშუალებების რეგისტრაცია

გემების რეგისტრაციის სამმართველო აწარმოებს როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული, საქართველოს დროშით მცურავი საშუალებების რეგისტრაციას საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში. 2018 წლის განმავლობაში საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული მცურავი საშუალებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე:

დიაგრამა N7 - 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებები




დიაგრამა N 8 - 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებები 2017-2018წწ.




2018 წელს, საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირდა შიდა ნაოსნობაში ჩართული 100 რეგისტრულ ტონაზე ნაკლები 129 მცურავი საშუალება.

დიაგრამა N9 - 100 რეგ. ტონაზე მეტი მცურავი საშუალებები



დიაგრამა N10 - 100 რეგ. ტონაზე მეტი მცურავი საშუალებები 2016-2017 წწ.



2018 წელს საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში დარეგისტრირდა 13 მცურავი საშუალება:

- თევზსაჭერი - 8
- ბალკერი- 1
- იახტა -4

დღეის მდგომარეობით, საქართველოს დროშის ქვეშ საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული 32 მცურავი საშუალებაა რეგისტრირებული.

მცურავი საშუალებების რეგისტრაციის შედეგად გაცემული სერტიფიკატების/მოწმობების სტატისტიკა

საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში მცურავი საშუალების სარეგისტრაციო მომსახურების გაწევის დროს გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი. 2018 წლის განმავლობაში გაცემული სერტიფიკატების სტატისტიკა მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

<i>სერტიფიკატის დასახელება</i>	<i>გემის ტიპი</i>	
	<i>100 რეგ. ტონაზე მეტი ტევადობის გემი</i>	<i>100 რეგ. ტონაზე ნაკლები ტევადობის გემი</i>
გემის სარეგისტრაციო მოწმობა	53	542
ცვლილების შეტანა	19	63
იპოთეკის ცნობა	5	4
გემის ინსპექტირება	33	
სახომალდო რადიოსადგურის მოწმობა	98	94
ეკიპაჟის უსაფრთხო შემადგენლობის მოწმობა	41	20
მოხსნის სერტიფიკატის გაცემა	2	2
დამოწმება	91	
CLC სერტიფიკატის გაცემა		
ISPS მოწმობა	2	
დამოწმებული ასლი		
იპოთეკის რეგისტრაცია		1
იპოთეკის მოხსნა		
გამონაკლისი	3	
ამონაწერი	5	
უწყვეტი რეგისტრაციის მოწმობა	3	
საერთაშორისო უსაფრთხოების სერტიფიკატი	1	
დროებითი რეგისტრაციის ვადის გაგრძელება	1	
სხვა დოკუმენტი	1	
უწყვეტი ისტორიის ჟურნალი	3	
დუბლიკატის გაცემა	2	

გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის მიმართ 2017 წელს გამოცემული ცირკულარები:

[Circular N1/FSI](#) ISM Regulation for Cargo Vessels engaged in Domestic Navigation;

[Circular N3/FSI](#) FSI targets For 2018-2019;

[Circular N6/FSI](#) Amendments to the International Convention for the Prevention of Pollution from Ships (MARPOL);

[Circular N7/FSI](#) Piracy and armed robbery against ships and amendment to best management practices (version 5) to deter piracy in the high risk area and enhance maritime security in the red sea, Gulf of Aden, Indian Ocean and Arabian Sea;

[Annex for Circular N7C](#);

[Circular N12/FSI](#) Procedures of Marine incidents and Marine Casualty reporting on Vessels registered under Georgian Flag.

საერთაშორისო და ადგილობრივ უწყებებთან თანამშრომლობა

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო წარმოადგენს საქართველოს საზღვაო სფეროს ეროვნულ-ტექნიკურ მარეგულირებელ ორგანოს, რომლის უმთავრესი ამოცანაა, საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის იმიჯის და ცნობადობის ამაღლება საერთაშორისო დონეზე. აქედან გამომდინარე, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სააგენტოს თანამშრომლები სისტემატურად ესწრებიან საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების სხდომებს. სააგენტო, საქართველოს სახელით აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში.

საქართველოს საერთაშორისო საზღვაო ფორუმი GIMF 2018

2018 წლის 10-14 სექტემბერს, საქართველომ, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ორგანიზებითა და საქართველოს პრემიერ მინისტრის პატრონაჟით ჩატარებულ საერთაშორისო საზღვაო ფორუმს უმასპინძლა. ფორუმს ესწრებოდა 53 ქვეყნის 400 მდე დელეგატი, მათ შორის საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის გენერალური მდივანი, მოწინავე საზღვაო ქვეყნების საზღვაო ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის მინისტრები, საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ფორუმის ფარგლებში ხელი მოეწერა:

- საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის მეზღვაურების კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების ორმხრივი აღიარების მემორანდუმს;
- საქართველოსა და ხორვატიის რესპუბლიკას შორის მეზღვაურების კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების ორმხრივი აღიარების მემორანდუმს;
- საქართველოსა და უკრაინას შორის განზრახულობათა ოქმს, ავტომატური საიდენტიფიკაციო სისტემების მონაცემთა გაცლის თაობაზე;
- გაეროს ქალთა ორგანიზაციას, ქალთა საერთაშორისო საზღვაო და სანაოსნო ასოციაციის საქართველოს წარმომადგენლობას, და სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს შორის, სამხრეთი ურთიერთგაგების მემორანდუმში, რომლის მიზანია ქალთა მხარდაჭერა საზღვაო ინდუსტრიაში განათლებისა და დასაქმების თვალსაზრისით;

- ბათუმისა და შანხაის საზღვაო აკადემიებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს, სამომავლოდ სტუდენტთა ურთიერთგაცვლასა და ტრენერ-პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ერთი ფანჯრის პრინციპი საქართველოს საზღვაო ინდუსტრიაში

GIMF 2018 -ის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ მინისტრის მიერ გახმოვანებულ იქნა ინიციატივა საქართველოს საპორტო სექტორის დიჯიტალიზაციისა და ერთი ფანჯრის პრინციპის ამუშავების თაობაზე.

ფორუმიდან მოკლე ვადებში შემუშავდა პროექტი - „ერთი ფანჯრის პრინციპი საქართველოს საზღვაო ინდუსტრიაში“. პროექტი გულისხმობს ადიმინისტრაციული პროცედურების გამარტივებას, ქართული საპორტო მომსახურებების დიჯიტალიზაციას, და სახელმწიფო და კერძო მომსახურებების ერთიან ონლაინ სივრცეში გაერთიანებას.

დღეის მდგომარეობით, პროექტი დამტკიცების მეორე ეტაპზეა.

ნავთობის დაღვრის საკომპენსაციო ფონდთან თანამშრომლობა

2018 წლის 1 ნოემბერს, ნავთობის დაღვრის საერთაშორისო საკომპენსაციო ფონდის ასამბლეის სხდომაზე საქართველო პირველად, თავის საზღვაო ისტორიაში, 115 წევრიდან არჩეულ იქნა ფონდის აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კომიტეტი წევრი ქვეყნებიდან მხოლოდ 15 სახელმწიფოს აერთიანებს.

Azimut Yachts Georgia -სთან თანამშრომლობა

2018 წლის 31 ივლისს, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და Azimut Yachts Georgia"-ს შორის, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია კომპანიის მიერ, სამი წლის განმავლობაში ეტაპობრივად, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო ტიპის

ღონისძიებებით, ასევე, Azimut Yachts Georgia -ს დაქვემდებარებაში მყოფი კომპანიების მეშვეობით, საქართველოს საზღვაო დროშის პოპულარიზაცია;

მეზღვაურთა დასაქმების ხელშეწყობა

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და აჭარის მთავრობის დასაქმების სააგენტოს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიზანია საზღვაო შრომის ბაზრის მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის შემუშავება.

შემუშავების პროცესშია ვებ-გვერდი www.georgianseafarers.ge ქართველი მეზღვაურებისათვის, სადაც მათ ექნებათ შესაძლებლობა დაუკავშირდნენ და პირდაპირ მიაწოდონ თავისი მონაცემები გემთმფლობელებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

საერთაშორისო მობილური სატელიტური ორგანიზაცია (IMSO)

2018 წლის მაისში, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე საერთაშორისო მობილური სატელიტური ორგანიზაციის ვიცე თამჯდომარედ აირჩიეს.

საქართველოს წარმომადგენლის არჩევა ასეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის საკონსულტაციო საბჭოს ვიცე-თამჯდომარედ მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს საზღვაო სფეროსთვის და ზოგადად ქვეყნის იმიჯისთვის. IMSO არის საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ დაარსებული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 103 ქვეყანას, მათ შორის 2015 წლიდან საქართველოსაც და არეგულირებს გლობალურ საზღვაო უსაფრთხოების სისტემას (GMDSS) და ასევე გემების გლობალურ იდენტიფიცირებას და კონტროლს (LRIT).

საზღვაო ფინანსების პროექტი

საზღვაო ფინანსები საბანკო სექტორში შემავალი, კომპლექსური ფინანსური ინსტრუმენტების მქონე ცალკეული მიმართულებაა, რომელიც უზრუნველყოფს საზღვაო ინვესტიციების მოზიდვას. ეს არის მსოფლიოში მრავალი წლის მანძილზე

აპრობირებული მეთოდი, რომელსაც წამყვანი ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები იყენებენ საზღვაო ინვესტიციების დასაფინანსებლად.

რაც შეეხება ქართულ საბანკო სექტორს, საბანკო ფინანსირება წარმოადგენს აუთვისებელ სეგმენტს, მაგრამ გამომდინარე ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალიდან და მასშტაბური პროექტებიდან (ანაკლიის პორტის მშენებლობა და ლოგისტიკური ჰაბების განვითარება) მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული პირდაპირპროპორციულად იმოქმედებს საქართველოს დროშის წარმადობაზე, ქვეყნის იმიჯზე საერთაშორისო დონეზე, ხელს შეუწყობს ქართულ ბაზარზე საერთაშორისო დონის კომპანიების დაფუძნებას, ყოველივე ეს კი თავის მხრივ, გააძლიერებს ზოგადად ინდუსტრიას და გაზრდის დასაქმებულთა რაოდენობას (საზღვაო სფერო მიმზიდველი გახდება არამხოლოდ საზღვაო განათლების / საზღვაო სფეროში გამოცდილების მქონე ადამიანებისათვის).

მაშინ, როცა საქართველოს საზღვაო დროშა იუმჯობესებს პოზიციებს, და სააგენტოს მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება/რეფორმა და საკანონმდებლო ცვლილება დაკავშირებული დროშის პოპულარიზაციასა და გემების მოზიდვასთან, ვფიქრობთ საზღვაო ფინანსები, როგორც დარგის ერთერთი ყველაზე ეფექტური, მიმზიდველი შეთავაზება უნდა განიხილებოდეს დროშის კუთხით წარმოებული კამპანიის დროს.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ უკვე განახორციელა აღნიშნული პროექტის ინიცირება, შერჩეულია საზღვაო ფინანსების ექსპერტი, რომელიც 2019 წელს ეწვევა საქართველოს და დაინტერესებულ მხარეებს ჩაუტარებს ტრენინგებს. შესაბამისად პროექტის გადავა შესრულების მეორე ეტაპზე.

25 ივნისი - მეზღვაურთა საერთაშორისო დღე

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) რეზოლუციის შესაბამისად, 2011 წლიდან 25 ივნისი აღინიშნება, როგორც **მეზღვაურის დღე**. საქართველოც, მსგავსად მსოფლიოს სხვა საზღვაო ქვეყნებისა, 2012 წლიდან აღნიშნავს ამ დღეს. საანგარიშო პერიოდშიც, ტრადიციულად, ქ. ბათუმში გაიმართა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობდა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, საქართველოში აკრედიტირებული საზღვაო სასწავლებლები და საზღვაო სფეროს სხვა წარმომადგენლები.

- მეზღვაურთა დღის აღსანიშნავი ოფიციალური ცერემონია ბათუმის მე-10 ნავმისადგომზე გაიმართა, მოწვეულ სტუმრებს, მეზღვაურებს, კურსანტებსა და დამსწრე საზოგადოებას 25 ივნისი საქართველოს პრემიერ მინისტრმა - მამუკა

ბახტაძემ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა - გიორგი ჩერქეზიშვილმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ - ზურაბ პატარაძემ მიულოცეს.

- საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლს და ეწევა ნავსადგურში შემოსული გემების ინსპექტირებას მათი საერთაშორისო საზღვაო კონვენციებთან შესაბამისობის დასადგენად. ზემოაღნიშნული პროცესის გამჭვირვალობისა და ინსპექტირების პროცესის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, ცერემონიაზე მოხდა ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის ოფიცრების სამხრე კამერებით აღჭურვა;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა საზღვაო სფეროში შეტანილი წვლილისათვის დააჯილდოვა:
 - ბათუმის ნავსადგურის კაპიტანი - თენგიზ გადილია, რომელიც 2012 წლიდან იკავებს ამ საპასუხისმგებლო თანამდებობას, წლების განმავლობაში იყო შორეული ნაოსნობის კაპიტანი, ეწეოდა საგანმანათლებლო საქმიანობას და არის ღირსების ორდენის კავალერი;
 - ფოთის ნავსადგურის კაპიტანი - ვახტანგ თავბერიძე, მრავალწლიანი საზღვაო პრაქტიკით - 5-ჯერ იმოგზაურა დედამიწის გარშემო, გახლავთ ასოცირებული პროფესორი, რომელიც აქტიურად არის ჩართული მომავალი თაობის საგანმანათლებლო პროცესში;
 - ყულევის ნავსადგურის კაპიტანი - ნიკოლოზ ოვჩარენკო, მრავალწლიანი საზღვაო პრაქტიკითა და გამოცდილებით, იმყოფებოდა ექსპედიციაში ჩრდილო-ყინულოვან ოკეანეში ანტარქტიდაზე, 2014 წლიდან უჭირავს ყულევის ნავსადგურის კაპიტნის საპატიო თანამდებობა.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ საზღვაო სფეროში შეტანილი წვლილისათვის დააჯილდოვა
 - შაქრო ვარშანიძე - მრავალწლიანი საზღვაო პრაქტიკითა და საგანმანათლებლო საქმიანობით.
- პრემიერმა განსაკუთრებული გამძლეობისათვის გადასცა ჯილდო ქართველ მეზღვაურს სოსლან კაკაბაძეს, რომელმაც 3 წელი გაატარა ლიბიის ციხის გაუსაძლის პირობებში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს კოორდინირებული თანამშრომლობის შედეგად, მიმდინარე წლის აპრილის თვეში სოსლან კაკაბაძის მიმართ ლიბიის სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.
- საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორმა, თამარ იოსელიანმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ელჩები

(IMO Maritime Ambassador) - თემურ გოგრაჭაძე და თამაზ მიქელაძე, რომლებიც ამ საპატიო წოდების ფარგლებში, დაიწყებენ პროფესია-მეზღვაურის პოპულარიზაციას ქვეყნის მასშტაბით, ჩაატარებენ საჯარო ლექციებს სკოლებში, რათა უფრო მეტი ახალგაზრდა დაინტერესდეს საზღვაო განათლებითა და პროფესიით.

- ღონისძიებაზე გაიმართა საქართველოს საზღვაო სასწავლებლების წარჩინებულ სტუდენტთათვის დიპლომების გადაცემის ცერემონია.
- მეზღვაურის დღისადმი მიძღვნილი ოფიციალური ცერემონიის დასასრულს, საზღვაო აკადემიის საკუთრებაში არსებული გემი „კადეტი“ საზეიმო ვითარებაში გაემგზავრა საერთაშორისო ნაოსნობაში. აღსანიშნავია, რომ 2018 წლამდე აკადემიას საკუთრებაში არ ქონია სასწავლო-საწვრთნელი გემი, სადაც კურსანტები შეძლებდნენ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კურსის გავლას. ნაოსნობაში „კადეტთან“ ერთად საზღვაო აკადემიის 20 კურსანტი გაემგზავრა.
- მთელი დღის განმავლობაში ევროპის მოედანზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა გასართობის აქტივობები.

გასაჭირში მყოფი მეზღვაურები

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ძალისხმევით წარმატებით დასრულდა სამწლიანი დავა, ლიბიაში დაკავებული ქართველი მეზღვაურების საქმესთან დაკავშირებით, მეზღვაურები სამშობლოს მიმდინარე წლის მაისის თვეში დაუბრუნდნენ;
- აჭარის მთავრობის, მეზღვაურთა პროფკავშირისა და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს კოორდინირებული თანამშრომლობის შედეგად, დადებითად გადაწყდა 2018 წლის ივლისის თვიდან, „ალიჯან კარტალ“-ზე დასაქმებული როგორც ქართველი, ისე ეკიპაჟის უცხოელი წევრების საქმე. მეზღვაურებს გემთმფლობელი სრულად აუნაზღაურებს სახელფასო დავალიანებას, აღსანიშნავია, რომ ეკიპაჟის უცხოელი წევრები უკვე დაბრუნდნენ სამშობლოში.
- 2017-2018 წლებში, სააგენტოში დაფიქსირდა გასაჭირში მყოფი 29 მეზღვაურის განაცხადი, რომელთაგან დადებითად გადაწყდა 21.

საკანონმდებლო საქმიანობა

2018 წელს საქართველო მიუერთდა 2 საერთაშორისო კონვენციას:

- „გემებზე მავნე დაბინძურების საწინააღმდეგო სისტემების კონტროლის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთებისა და ძალაში შესვლის თაობაზე;
 - „საბუნკერო საწვავით დაბინძურების შედეგად გამოწვეული ზარალის გამო წარმოშობილი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე.
-
- 2018 წლის 14 ივნისს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 13 ივნისის N02 ბრძანება, „ნავსადგურის წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ– საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2012 წლის 31 აგვისტოს №019 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
 - 2018 წლის 22 ივნისს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 21 ივნისის N03 ბრძანება, „ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 21 მაისის №05 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
 - 2018 წლის 05 სექტემბერს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანება N04 „საზღვაო - საწვრთნელ დაწესებულებათა და საზღვაო -საწვრთნელი დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის 2014 წლის 25 დეკემბრის N05 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
 - 2018 წლის 31 დეკემბერს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის N685 დადგენილება „საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემებისა და საქართველოს ნავსადგურების უშიშროების წესის“ დამტკიცების შესახებ.
 - 2018 წლის 13 დეკემბერს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის N05 ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო დროშის ქვეშ მცურავ გემებზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების“ დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გაგზავნილი პროექტები:

- საქართველოს კანონი „საქართველოს საზღვაო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი;
- საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების“ შესახებ ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი;
- „სატვირთო მარკის შესახებ“ 1966 წლის საერთაშორისო კონვენციასთან დაკავშირებული 1988 წლის პროტოკოლთან“ შეერთების პროცედურების ინიცირება;
- „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში გემების მოძრაობის გამყოფი სქემების, საზღვაო დერეფნებისა და სპეციალური საზღვაო რაიონების დადგენის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N57 დადგენილების ცვლილების პროექტი;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 15 აპრილის N1-1/592 ბრძანების ცვლილების პროექტი;

ადმინისტრაციული უზრუნველყოფა

- 2018 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით, სააგენტოში დასაქმებული იყო 122 ადამიანი, რაც შეეხება მაჩვენებლებს გენდერულ ჭრილში, შეიძლება ითქვას, ბალანსი დაცულია, სააგენტოში დასაქმებულია მდედრობითი სქესის - 41, და მამრობითი სქესის - 81 ადამიანი (მამაკაცი თანამშრომლების სიმრავლე ამ შემთხვევაში განპირობებულია სააგენტოს საქმიანობის სპეციფიკით, იგულისხმება ზღვაზე ძებნა გადარჩენისა და გემების მოძრაობის მონიტორინგის დეპარტამენტის და ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც აუცილებლად არიან მამრობითი სქესის).
- საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია. საანგარიშო პერიოდში, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ, გასცა 15 წერილი, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად.
- 2018 წელს, სააგენტომ შეისყიდა მომსახურება სააგენტოს ადმინისტრაციული შენობის ტექნიკური მდგომარეობის ინსპექტირებისათვის. შესაბამისად, ჩატარებულ იქნა საინჟინრო-ლაბორატორიული კვლევები შენობის დასაპირკვლების პირობების და გეოლოგიური პარამეტრების შესადგენად. აღნიშნული ემსახურებოდა სააგენტოს შენობის დეფექტების აღმოფხვრისათვის საჭირო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განსაზღვრას. აღნიშნული კვლევის დასკვნის საფუძველზე, სააგენტოში ეტაპობრივად მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- 2018 წელს, სრულად შეივსო სააგენტოს ძირითადი, მნიშვნელოვანი ვაკანტური პოზიციები, კერძოდ, დაინიშნა სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილე, მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი და გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტის უფროსი.

ISO 9001:2015

2017 წლის დეკემბერში სააგენტომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გამოაცხადა ტენდერი ISO 9001:2015 საერთაშორისო მოთხოვნების მიხედვით ხარისხის მართვის სისტემის მომსახურების სამწლიან (2018 – 2020 წლები) შესყიდვასთან დაკავშირებით, რომელზედაც ასევე გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია (შპს მენეჯმენტის სისტემები) და მომზადდა ხელშეკრულების პროექტი. 2018 წლის აპრილის თვეში, სააგენტომ, 2015 წლის 15 სექტემბერს დამტკიცებული საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნების შესაბამისად შეუსაბამობების გარეშე გაიარა სასერტიფიკაციო აუდიტი, და მოიპოვა ხარისხის მართვის სერტიფიკატი 3 წლის ვადით.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტის ISO 27001 და ISO 45001 შრომის, ჰიგიენისა და უსაფრთხოების მენეჯმენტის სტანდარტების დასანერგად.

სააგენტოში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა შეესაბამება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციების მოთხოვნებს და ევროკავშირის სავალდებულო დირექტივებს, რაც განაპირობებს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებების მაღალ დონეს.